ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3859756

ნომერი: AR1580570

თარიღი : 27.02.2018

გაცემის თარიღი : 13.03.2018

გაცნობის თარიღი : 14.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით თავხელიძეს ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბეიტრიშვილი პ/ნ 01024031682
- თბილისი ლვოვის I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი #AR1580570 ელექტრონული განაცხადი, ქ. თბილისში, #01.14.03.039.063 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2017 წლის 31 მაისის #3295641 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი

(საბურთალო), ვაჟა-ფშაველას გამზირი #76ბ-ში (ნაკვეთი #039/032)-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ს/კ#01.14.03.039.063), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2018 წლის 28 თებერვლის #3844890 ბრძანებით დადასტურდა ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი #76ბ-ში (ნაკვეთი #039/032)-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.03.039.063) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 07.08.2017წ. #ბ-19/01171702026-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, დ. თავხელიძეს ქ. #1ა-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.